(სსმ III, 08.07.2010 N 82 მუხ.1197)

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი
140.130.000.22.034.014.836

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბრძანება N 605
2010 წლის 5 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მოსამსახურეთა (პოლიციელთა, სამხედრო მოსამსახურეთა, სამოქალაქო პირთა,) ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტიკის დამტკიცების შესახებ

"შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის N139 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტისა და "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის N614 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-11 პუნქტის "ა" და "ნ" ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მოსამსახურეთა (პოლიციელთა, სამხედრო მოსამსახურეთა, სამოქალაქო პირთა) ფორმის ტანსაცმელი და ატრიბუტიკა თანდართული რედაქციით.

მუხლი 2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ი. მერაბიშვილი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მოსამსახურეთა (პოლიციელთა, სამხედრო მოსამსახურეთა, სამოქალაქო პირთა) ფორმის ტანსაცმელი და ატრიბუტიკა

პლანშეტი 1

კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ემბლემა

ემბლემა – წარმოადგენს მრგვალ (ბიზანტიურ) ფარს, რომლის ვერცხლის (თეთრი) ფერის ველზე გამოსახულია ჯვარი და ოთხივე მხარეს ჩასმული ოთხქიმიანი გაბრწყინებული ვარსკვლავი იმეორებს სახელმწიფო დროშის კომპოზიციას; კომპოზიციის შუაში წარმოდგენილია (დატანებულია) შსს ემბლემა. წითელი ფერის ველზე წრიულად გამოსახულია ოქროსფერი წარწერა: “კონტრდაზვერვის დეპარტამენტი” და “შსს”; რომლებიც გამოიყოფიან ერთმანეთისაგან ორი ოქროს ჰერალდიკური ჯვრით.

პლანშეტი 2

კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მოსამსახურეთა (პოლიციელთა, სამხედრო მოსამსახურეთა) სამკლაური ემბლემა

სტილიზებული ჰერალდიკური ფარის შავი ფერის ველზე გამოსახულია კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ემბლემა, რომლის ზედა ნაწილში გამოსახულია ოქროსფერი (ყვითელი) წარწერა "საქართველო"; ფარს გარშემო შემოვლებული აქვს ოქროსფერი (ყვითელი) კანტი.

პლანშეტი 3

კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მოსამსახურეთა (პოლიციელთა, სამხედრო მოსამსახურეთა, სამოქალაქო პირთა) სააღლუმე ფორმა

პოლიციელთა ფორმა - მუქი ლურჯი ლამპასიანი შარვალი; შავი ფერის პიჯაკი (ფრენჩი) აქსელბანდით; თეთრი ფერის პერანგი; შავი ფერის წინაფრიანი ქუდი; შავი ჰალსტუხი; წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა. პიჯაკის საყელოზე დამაგრებულია კონტრდაზვერვის დეპარტამენტის სამკერდე ემბლემა.

სამხედრო მოსამსახურეთა ფორმა – მუქი ლურჯი ლამპასიანი შარვალი; შავი ფერის პიჯაკი (ფრენჩი) აქსელბანდით; თეთრი ფერის პერანგი; შავი ფერის წინაფრიანი ქუდი; შავი ჰალსტუხი; წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა. პიჯაკის საყელოზე დამაგრებულია კონტრდაზვერვის დეპარტამენტის სამკერდე ემბლემა.

სამოქალაქო პირთა ფორმა – შავი ფერის შარვალი; შავი ფერის ორბორტიანი პიჯაკი; თეთრი ფერის პერანგი; შავი ჰალსტუხი; პიჯაკის საყელოზე დამაგრებულია კონტრდაზვერვის დეპარტამენტის სამკერდე ემბლემა.

პლანშეტი 4

წოდების განმასხვავებელი ნიშნები სამხრეების სახით დეპარტამენტის სამხედრო მოსამსახურეთათვის.

პლანშეტი 5

წოდების განმასხვავებელი ნიშნები სამხრეების სახით დეპარტამენტის პოლიციელთათვის.

პლანშეტი 6

1. წინაფრიანი ქუდის ემბლემა (კოკარდა) – შავ ფონზე ოქროსფერ (ყვითელ) მხატვრულ ორნამენტში გამოსახულია სტილიზებული ჰერალდიკური ფარი; ფარი ჯვრის ფორმით დაყოფილია ოთხად და რომბისებურად გამოსახულია ლურჯი და მეწამული (მუქი წითელი) ფერების კომპოზიცია.
2. წინაფრიანი ქუდის კეპი – შავ ფონზე გამოსახულია ოქროსფერი (ყვითელი) მხატვრული ორნამენტი.
3. სამკერდე ემბლემა (ღილკილო) – ოქროსფერი (ყვითელი) ოთხქიმიანი ვარსკვლავი, რომლის ოთხივე მხარეს ჩასმულია მცირე ზომის ოქროსფერი (ყვითელი) ოთხქიმიანი ვარსკვლავი. ემბლემას გარშემო შემოვლებული აქვს ოქროსფერი (ყვითელი) კანტი.